

მცენარეთა სახელების სემიტური ნასესხობები
ქართულ ოთხთავში: ზეთის ხილი
SEMITIC PLANT NAMES IN THE GEORGIAN GOSPEL:
ZETIS XILI (OLIVE)

მარინე ივანიშვილი
Marine Ivanishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული საბარება, სემიტური ნასესხობები,
მცენარეთა სახელები.

Keywords: Georgian Gospel, Semitic Borrowings, Plant Names.

ქართულ ოთხთავში მცენარეთა სახელების კვლევისას შევეცადეთ გვეპასუხა შემდეგ ძირითად კითხვებზე: როგორ ხდება მცენარეთა სახელების გადმოცემა ქართული ოთხთავის ტექსტებში – სესხებით, თარგმნით, მსგავსი სემანტიკის მქონე ეკვივალენტის ჩანაცვლებით? არის თუ არა ოთხთავში დადასტურებულ მცენარეთა სახელებს შორის საერთო-ქართველური ძირები? ნასესხებ ლექსიკასთან ერთად იხმარება თუ არა საკუთრივ ქართული (ქართველური) სინონიმური ფორმები? ნასესხები მასალა სახარების ტექსტის მეშვეობით შემოვიდა ქართულ ენობრივ სისტემაში თუ მანამდეც არსებობდა? რა კულტურული, რელიგიური მოტივები უკავშირდება ამა თუ იმ მცენარის სახელს მოცემულ კონტექსტში? როგორია ქართული და ნასესხები ძირების დისტრიბუცია (მაგალითად, იმის მიხედვით, ენდემურია, იზრდება თუ არა ეს მცენარე საქართველოში)? რამდენად ადეკვატურია ლექსიკური ეკვივალენტები და რით აიხსნება ცთომილებები? და ა. შ.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ქართული ოთხთავის ტექსტებში დადასტურებულ სემიტურ ნასესხობაზე, კერძოდ, ზეთის ხილზე.

სახარებაში ვკითხულობთ: მიეახლა... მთასა თანა, რომელსა ჰრქვან ზეთის ხილთად ლ. 19, 29; ღამე განვიდის და იქცევინ მთასა მას, რომელსა ჰრქვან ზ. ხ., ლ. 21, 37; მოვიდეს მთასა მას ზეთის ხილთასა, მ. 21, 1; 26, 30; ვა ჯდა თავადი მთასა მას ზ. ხ., მ. 24, 3; რაჟამს მიეახლნეს... მთასა თანა ზ. ხ. მრ. 11, 1; ჯდა რად იგი მთასა მას ზ. ხ., მრ. 13, 3; განვიდეს მთასა მას ზ. ხ., მრ. 14, 26; წარვიდოდა... მთასა მას ზ. ხ., ლ. 22, 39; ვითარ მიიწია იგი მთასავალსა მას მთისა ზეთის ხილთადსა, ლ. 19, 37.

ძველი ქართული ენის ტექსტებში აღნიშნული სახელისთვის წარმოდგენილი უხვი საილუსტრაციო მასალა (ზეთი, ზეთაგანი, ზეთის ხე, ზეთის ხეოანი, ზეთის-ხილი, ზეთის-ხილოვანი) მოწმობს იმას, რომ აღნიშნული ფუძე უძველესი დროიდან დამკვიდრებულა ქართულ ლექსიკაში.

ქართულში ზეთ- ფუძის სესხების ზუსტი გზის (არამეული, სირიული თუ არაბული) განსაზღვრა მხოლოდ ფონეტიკაზე დაყრდნობით რთულია, თუმცა აღნიშნული ფუძის სემიტური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს.

ზეთის ხილ-: *Olea europaea* L.: ქართ. ზეთის ხილი [zetiṣ xili]; ბრძ. ἔλαια ἡ [elaja]; ლათ. *oliva* (f.); ებრ. זית [zayt]; სომხ. **ԱԵՔԵՆԻ** [jet'eni]; არაბ. زيتون [zajtūn]; زيتون [ze'yt, ze'ytūn]; თურქ. zeytin; ინგ. Olive; გერმ. Ölbaum (m.); ფრანგ. olivier (m.); რუს. оливковое дерево, маслина.

ლიტერატურა:

- ალექსიძე, ზ. (1971). სირიულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობის ისტორიიდან (რამდენიმე სირიული სიტყვა ქართულ „ოთხთავში“ (ქართული წყაროთმცოდნეობა). თბილისი.
- ანდრონიკაშვილი, მ. (1966). ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თსუ. თბილისი.
- ლეკიაშვილი, ვლ. (1992). ორიენტალიზმები ქართულში (არაბული ლექსიკა). (საკანდიდატო დისერტაცია). თბილისი.
- ნედოსპასოვა, მ. (1978). უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში, მეცნიერება. თბილისი.
- ფენრიხი, ჰ., სარჯველაძე, ზ. (2000). ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სპუ. თბილისი.
- ყაუხჩიშვილი, ს. (1956). ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში (სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თსუ). თბილისი.

During the study of plant names in the Georgian Gospel I tried to answer a few basic questions: how are the plant names transferred in the Georgian Gospel texts – by the way of borrowing, translation, or replacing with the equivalents of the similar semantics? Are there any Proto-Kartvelian roots among the plant names testified in the Gospels? Are there any examples when with the borrowed vocabulary we also come across with the Georgian (Kartvelian) synonym forms? Did the borrowed material appear in the Georgian language system by the way of the Gospel texts translation, or did it exist before? Which cultural, religious motives are related to each plant name in the given context? How are the Kartvelian and borrowed roots distributed (for example, depending on the fact whether the plant is endemic, grows in Georgia or not)? How adequate are the lexical equivalents and how are the errors explained? etc.;

This time the article deals with the Semitic borrowing, in particular, *zetis xili* (olive).

zetis xil- is observed in the Georgian Gospel in the following places: L. 19, 29; L. 21, 37; M. 21, 1; 26, 30; M 24, 3; Mr. 11, 1; Mr. 13, 3; Mr. 14, 26; L. 22, 39; L. 19, 37.

Georgian *zet-* stem comes from Arabic *zajt*. The multiple illustrative materials of the mentioned name (*zeti*, *zetis xe*, *zetis xeoani*, *zetis-xili*, *zetis-xilovani*) in old Georgian texts shows that this stem has been well established in Georgian vocabulary.

Determining the exact borrowing path (Aramaic, Syriac or Arabic) of stem *zet-* in Georgian is difficult only on the basis of phonetics, although the Semitic origin of this stem is not in doubt.

zetis xil-: *Olea europaea* L. (the root borrowed from Syriac to Arabic): *Geo.* ზეტის ხილი [zetis xili]; *Grk.* ἐλαία ἡ [elaja]; *Lat.* oliva (f.); *Hebr.* זַיִת [zayîä]; *Arm.* ՀԷՐԵՆԻ [jet'eni]; *Arab.* زیتون [zajtün]; *Pers.* (Arab.) زیتون [ze'yt, ze'ytün]; *Turk.* zeytin; *Eng.* Olive; *Germ.* Ölbaum (m.); *Fran.* olivier (m.); *Rus.* оливковое дерево, маслина.

References:

- Aleksidze, Z. (1971). siriul-kartuli leksik'uri urtiertobis ist'oriidan (ramdenime siriuli sit'q'va kartul "otxtavši" (kartuli c'q'arotmcodneoba) [From the history of Syriac-Georgian lexical relations (Georgian source studies)] Tbilisi.
- Andronikashvili, M. (1966). Nark'vevebi iranul-kartuli enobrivi urtiertobidan [Studies in Iranian-Georgian Linguistic Contacts] I, TSU. Tbilisi.
- Fenrich, H., Sarjveladze, Z. (2000). Kartvelur enata et'imologiuri leksik'oni [Etymological Dictionary of the Kartvelian Languages]. Tbilisi.
- Kauhchishvili, S. (1956). berznuli mamak'acta saxelebis gadmocemisatvis kartulši [For rendering the Greek men names in Georgian], I. Tbilisi.
- Lekiasvili, V. (1992). Orientalizmebi kartulši (arabuli leksika) [Orientalisms in Georgian]. Tbilisi.
- Nedospasova, M. (1978). Ucxo c'armošobis leksik'a arabul otxtavši [Foreign Lexica in Arabic Gospel]. Tbilisi.

ქართული ენის სწავლება და
ქართველოლოგიური კერები თურქეთში
GEORGIAN LANGUAGE TEACHING AND KARTVELOLOGICAL
CENTERS IN TURKEY

ნანული კაჭარავა
Nanuli Katcharava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა და ლიტერატურა, თურქეთი,
სწავლება

Key words: Georgian Language and Literature, Turkey, Teaching.